№ 9
შაბათი, 13 იანვარი 1896

1877—1896

ივერია

№ 9
შაბათი, 13 იანვარი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამომღებს გზაში დაეკარგა დასაბეჭდად მომზადებული სახარების ფურცლები, რომელთაც ბოლოში მიწებებული აქვს ხელით ჩაწერილი შენიშვნები. მპოვნელი საჩუქარს მიიღებს, თუ ზემოხსენებულს ფურცლებს „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგენს.

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს 17 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ვალერიან გუნიას საბ-ნეფისოდ
პირველად ახალი პიესა

I
პირველი გუზი
კომედია 3 მოქმდ. გადმოკეთებ. ველიჩკოს პიესიდან ვალ. გუნიას მიერ

II
ცხოვრება
დრამ. სურათები 2მოქმედ. ვალ, გუნიასი

მონაწილეობას ღებულობენ: ეფ. მესხისა ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ალექს. მესხიევი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე, და სხვ.

ფელეტონი

საახალწლო.

კიდევ ავიღებ კალამსა,
კიდევაც გავშლი დროშასა.
დრო არ მოგვყვება, ხან-და-ხან,
თუ შენ არ მიჰყევ დრო-ჟამსა.
ხელში ავიღებ ჩონგურსა
და ზედ დავმღერებ ცოტასა;
ვერ ვუღალატებ ჩვეულებრ
ამ საახალწლო მოდასა.
მგელს რომ არ ვაქებ, წესია,
საქებს შევასხამ ხოტბასა.
ღმერთმა დაგასწროთ მრავალსა
ახალწელსა და შობასა!..

—

მშვიდობა შენთან, მოხუცო,
საერო კილოს დედაო!
მოგიძღვნი მთიდამ სალამსა,
შენთან საუბარს ვბედაო:
რა არის ზოგის სიცოცხლე,
ნეტავ, რისათვის ჩნდებაო?
იცოცხლებს ჭიასავითა,
ჭიასავითვე კვდებაო.
იქ, საიქიოს დამცდარი,
საააქოსაც სცდებაო.
მშვიდობა ისევ შენთანა,
კისერ-ჟანგიანთ მგოსანო!
ტყავ-ფარ აჯიანთ ერთგულო,
ქართველო პატიოსანო.
მთით ბარად ხიდის გამდებო!
მტირალს დედასა ვხედაო:
შვილი დაუჭრეს ლაშქარსა,
სადღაც ღელეში კვდებაო
თუ „ველარ ჰნახავს ურჯულოს“,
ადგილებს ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
24 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი გ. გედევანოვისა.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ახალი ამბავი

—

*** ჩვენ გვატყობინებენ ოდესიდამ, რომ იქაურს ქართველობას უდღესასწაულნია 25 წლის იუბილე პროფესორის ვ. მ. პეტრიაშვილის მოღვაწეობისა.

*** იქიდამვე გვატყობინებენ: ოდესაში ორასამდე ქართველი მუშა არის. ეს მუშები დღემდის ცუდს მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვივნულნი, რადგან მოიჯარადრე, რომელსაც „რუსეთის სანავოსნო საზოგადოების“ გემების დატვირთვა ჰქონდა იჯარით აღებული, კარგად არ ეპყრობოდა მათ. დღეს ეს ვაჟბატონი სამსახურიდამ დაითხოვეს და ამის მაგიერად მოიწვიეს ბ. ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, რომელსაც ამნაირივე საქმე ჰქონდა მინდობილი ქერჩში. იმედი გვაქვს ბ. ალექსანდრე ნიკოლაიშვილი. როგორც მართალი

*** წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარია გვთხოვს გავასწოროთ შეცდომა მომხდარი გადამწერის ბრალით კანცელარიიდამ გამოგზავნილს ცნობაში, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ მე-3 №-ში. წერა-კითხვის საზოგადოების გამკეთებამ მიიღო თავ. გრიგოლ წერეთლის ნაანდერძევი ორასი მანეთი და არა ორასი თუმანი, როგორც ეს არის გამოცხადებული ხსენებულს ნომერში.

*** წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 25 დეკემბერს კავკავში გამართულ „საღამოდამ“ შემოსულა სულ 1146 მან. და 60 კ., ხოლო წმინდა მოგება დარჩენილა 503 მან. და 94 კ.

ვრცელს ანგარიშს დავსტამბავთ ხვალ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გაზეთის სიტყვით, 8—11 თებერვალს ამ საზოგადოების სხდომებზე განხილულ იქმნება კავკასიაში თამბაქოს მოშენებისა და მრეწველობის საგანი.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას მოსვლია პეტერბურგიდგან ვილაც კურცისაგან თხოვნა—მიჩვენეთ კავკასიაში ისეთი მუხნარი, რომლის ან ყიდვა შემეძლოს ან გრძელის ვადით იჯარით აღებაო. ბ. კურცის სიტყვით, მისთვის მიუნდვიათ უცხოეთის კაპიტალისტებს, მოსძებნოს ექსპლოატაციისთვის კავკასიაში მუხის ტყე; კაპიტალისტებს განუზრახავთ—გახსნან ქარხნები, გაიყვანონ რკინის გზა და სხვა. ტყე იმდენად უნდა იყოს დიდი, რომ 15 წლის განმავლობაში არა ნაკლებ 150 ათასი მუხის მოჭრა შეიძლებოდეს („ტ. ლ.“)

*** „მშაკს“ ატყობინებენ ლენეორანიდან, რომ იქ 20 და 23 დეკემბერს სამჯერ იძრა მიწა.

*** „კასპის“ სიტყვით, ბიბი-ეიბატზე ბ. ზუბალოვის მამულში ამოხეთქა ნაფთის შადრევანმა; 24 საათში ამოდის 250 ათას ფუთამდე ნაფთი.

*** „ნოვ. ობოზ.“-ეს გუშინდელს №-ში ახალ ამბებთა შორის შემდეგს ვკითხულობთ: „როგორც ვუწყით, ამ უკანასკნელს წლებში ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა სოფლებში საცდელად „ინტელლიგენტ მამასახლისების“ დაყენება შემოიღეს. ჩვენ არა ერთხელ გაგვიმეორებია, რომ არჩევანი ამ მამასახლისებისა ვერ გამოდგა რიგიანი. საზოგადოებები ამ თანამდებობაზე ნამდვილ ინტელლიგენტებს, საზოგადო კეთილდღეობისათვის ერთგულ გულ-შემატკივართ, ახალს ძალით აღჭურვილთა და სამშობლო სოფლის ერთგულ მოსამსახურეთ-კი არ ირჩევენ, არამედ ისეთებს, რომლებსაც ვერავითარს საქმეში ვერ გაუმარჯვნიათ.

ზოგს სოფლებში საზოგადოების ფულის შეჭმა აღმოაჩნდათ,—სხვაგან უდიერის გარდასახადებით მთლად შეაწუხეს გლეხობა და სხვ. აი, ეხლაც გვატყობინებენ, რომ გორის მაზრაში, ორტევის სასოფლო საზოგადოებაში საწყალი ხალხი მეტად დამძიმებულიაო მამასახლისის სასარგებლოდ გაწერილ გარდასახადით. ოსეთის უნაყოფო მთები, რომლებშიაც მხოლოდ ქერი და სიმინდი მოდის, ძალიან მცირე სარჩოს აძლევს მკვიდრთ, ასე რომ დღიურ ცხოვრებისათვის ძლივს-ძლივობითა ჰყოფნით, თვითეულს კომლს მანეთნახევარი აქვს შემოწერილი მამასახლისის სასარგებლოდ. ასეთს გარდასახადს უღარიბესი — ქვრივ-ოხერთა ოჯახებიც-კი არ ასცდნენ. სარგებლობა-კი ასეთის საფასით დაყენებულ მამასახლისებისაგან, როგორც ოსეთიდამ იუწყებიან, საეკვოზე საეკვო არის თურმეო“.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

Ძ. ᲝᲖᲣᲠᲑᲔᲗᲘ. 3 იანვარი. როგორც მგითხველებს მოეხსენება, შარშან, კგონებ

წყლულები მოურჩებაო.
დაჭრილის კვნესის გამგონი
გოგო შველივით ფრთხებაო;
მაგრამ მუდარა რო ესმის,
დაკოდილს უბრუნდებაო.
„ბუერით“ წყალსა შეასმევს,
და პატიოსანი კაცი, ეცდება რიგიანად წაიყვანოს საქმე და გაამართლოს ის იმედები, რომელიც გვაქვს მასზედ ყველა აქაურ ქართველებს.

*** ტფილისის გამგეობას გარდაუწყვეტია ახლად დაარსებული ლომბარდი მოათავსოს ქალაქის შენობაში, სადაც ახლა პოლიციმეისტერის მმართველობა იმყოფება, ხოლო პოლიციისთვის მოსძებნონ სხვა შენობა ისევ ქალაქის შუა-გულში.

*** ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაისტამბოს ეკ. გაბაშვილის თხზულებათა კრებაო.
დაკოდილიცა რჩებაო;
ისიმც იხარებს გულითა,
დედა თუმც მოუკვდებაო.
მთაში კერის პირს მჯდომარე
ხევსური ხმალსა ჰფერავდა,
წარსულთა საქმეთ მნახველი,
აწმყოს ვაებას ჰზვერავდა.
ერეკლეს დროის მამგონე
ფიქრებს სჭრიდა და ჰკერავდა.
„სხვაზე არ გავცლი სამშობლოს“
რა გულ-მოდგინედ ჰკვერავდა.
იმან იცოცხლოს, ვინც იმ დროს
მის გულის გრძნობას სწველავდა.

—

შორს ჩემგან მაცდურებაო,
შორს ჩემგან უქმად დვრენაო!
რა ტკბილი არის, ვინც იცის,
თავის მშობელი ენაო.
გვიამბობს წარსულთ საქმეთა
მამა-პაპათას ჩვენაო.
სხვამ რამღა უნდა დაატკბოს
ქართველი კაცის სმენაო.
დედი-ნაცვალმა დედობა
ტყუილად დაიჩემაო!

—

ძველთა თქვეს, ძველი ქართული
თავისს ძველებურს წესზედა
„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა“,
მტრედსაც მოჰქონდა ბარათი
გადახვეული მხრებზედა:
„თვით უპატრონეთ თავის თავს
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“.

—

აგერ დაენთო სანთელი
ჟიკჟიკებს იელ-ციელა,
როგორც ზოგები ამბობენ,
არც ისე გვიჭირს ძრიელა.
„სისხლს დავღვრი საქართველოსთვის“
მოხუციც ამბობს მთიელა:
„შენ მითხარ გარემოება,
თუ ცაში დროშამ იელა“.

—

საზრდოს მძებნელი მთა-ღელეს
მგელი-კი ღმუის მშიერი;
მინდა რომ ბოროტებასა
სახე ვუცვალო, იერი.
ველარც სიტყვა სჭრის ლიტონი
და ველარც მკლავი ძლიერი.
სტირის მომხნავი... მის ხნულში
მიწა არა სჩანს ფხვიერი,
თესლს, ნათესს ჩიტნი აჭკრებენ,
ღვარნი წაჰლეკენ მდინარნი.
შინ წიოკობენ ბალღები,
მშიერნი, სახე-მტირალნი.

—

სიტყვის მთესველნო! ისმინეთ,
ნუ დამელალვი, მერანო!
და ველთა სისხლით ნალებო,
ჩემო ქვეყანავ ვერანო!
და თქვენც, ჰე მთანო მაღალნო,
ჩემის სამშობლოს მცველანო!
თქვენც საქართველოს ასულნო,
ერთად ვიცოცხლოთ, ყველანო!
არ გვეშველება, თუ ერთს დროს
სისხლად არ იქეც მელანო!

ვაჟა-ფშაველა.

ᲫᲐᲚᲐ

(საახალწლო მოთხრობა)

„სად მზეა, იქაც ჩრდილია!
სადაც ლხინია შექცევა;
იქ ისმის მათხოვრებისა,
მშიერთა კვნესა და გლოვა.
ნადსონი.

III

მეორე დღეც მოახლოვდა. ვასილ მორჩილაძე ადგა თუ არა დილით ცოლს სთხოვა შეედგინა სია. ზოგს ჩვეულებად აქვს,—უთუოდ დიასახლისს უნდა შეადგენიოს სია, თუ რა არის საყიდელი სადღესასწაულოდ. ვასილის ცოლმა, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით აღასრულა ქმრის თხოვნა. ნახევარ საათის შემდეგ სია უკვე ჯიბეში ჰქონდა ჩადებული მორჩილაძეს. თერთმეტ საათამდის ოჯახში მილაგ-მოლაგებას ადევნებდა თვალს. მერე დაიხურა ქუდი და დაპირა სამართველოში წასვლა.

—ნინო, მიუბრუნდა ცოლს წასვლისას.

— რა ამბავი! ოთახიდამ წყნარად გამოსძახა ცოლმა ვასილს.

— დავითა ურია თუ მოვიდეს—უთხარი,—ჯამაგირი გუშინ არ მიუღია-თქო.

— კარგი, ნუ სწუხარ... არაფერი დაგავიწყდეს, რაც სიაშია დანიშნული ყველაფერი იყიდე.

— არ დამავიწყდება ნუ გეშინიან.

ვასილმა აიღო ხელში ჯოხი და გაუდგა სამმართველოსკენ, სადაც უნდა მიეღო ოც-და-ათი მანეთი, ერთი თვის ჯამაგირი...

ვასილს ყველა ამხანაგები სამმართველოში დახვდა. ყველას ღიმილით მიესალმა და ცოტა ხნის შემდეგ დაეკითხა ერთს ამხანაგთაგანს:

— სად არის „სეკრეტარი“?

— რა ვიცი, ერთი საათი იქნება მაზრის უფროსის ოთახში შევიდა. ვინ იცის რას შვრება.

— ჯამაგირი ხომ არ მიგიღიათ ჯერ?

— არა.

— მაზრის უფროსი აქ არის?

— არა, ჯერ არ მოსულა.

ამ დროს მაზრის უფროსის ოთახის კარებიც გაიღო და გამოვიდა ივან მიხაილოვიჩი.

— ივან მიხაილოვიჩ, ერთად შესძახეს რავდენიმემ, თუ ღმერთი გწამთ ჯამაგირი მალე გამოგვიტანე, ათასი საქმე გვაქვს.

— ეხლავ, წარმოსთქვა ნელის ხმით მდივანმა და თან ამოიღო ჯიბიდამ ქალალდის ფულები, იცით..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის 25-ს, გამოცხადდა ბრძანება, რომლითაც ქ. ოზურგეთში შემოკლებული ქალაქის თვით-მმართველობა უნდა იქმნას შემოღებულიო. ჩვენი საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ამ განკარგულებას და უკვლამ სცნო, რომ ჩვენი პატარა ქალაქი თვით-მმართველობის წყალობით დიდს ნაბიჯს წარსდგამს წინმსვლელობისა და განვითარებისაკენ ჩვენი ქალაქი წინადვე სცდილობდა შემოღო ასეთი თვით-მმართველობა, შუამდგომლობაც იყო წარდგენილი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან, მაგრამ დღემდის, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, არა გვეშველა-რა. ახლა-კი ხმოსანთა არჩევანი არის დანიშნული თებერვლის 24-სა ამა მდგომარე წლისა და დრო-ზე შეკატუობინებთ მკითხველს საზოგადოებას მისს შედეგსაც.

შარშან ჩვენ გვქონდა ოზურგეთში ორი საქალაქო სკოლა—ერთი სამოქალაქო, რომელსაც ინახავდნენ ქალაქის მკვიდრნი და მეორე სამრევლო. ჩვენდა საუბედურ-ოდ, ენკენისთვიდამ გასულის 1885 წლისა, სამრევლო სკოლა დიახურა ფულის უქონლობისა გამო და ეხლა-კი მეორე სკოლაც დიდს განსაცდელშია, როგორც ისმის, და კგონებ იმასაც იგიკე ბოლო მოელის, თუ რომ არა კითვქრეთ-რა ჩვენკე; მიზეზი სკოლის დახურვისა ის არის, რომ მუნჯური სისტემა ბავშვების სწავლებისა, შემოღებული ბ. დეკიცკის მიერ, ფეხს კერ იკიდებს და ამითი სკოლა მთლად უქმდება. გარდა ამისა, ბ-ნი დეკიცკი არაფერად აგდებს საზოგადოების ხვეწნა-კედრებას, რომ შეუმცირონ სარჯი, სხვით თუ არა, იმით მაინც, რომ გამოგზავნონ ერთი მასწავლებელი მცოდნე ქართულის ენისა. მაშინ ჩვენ ალარ გადავიხდიდით წელიწადში 120 მანეთს ქართულის ენის კერძო მასწავლებელზე, რომელიც ენა ძალა უნებურად დაქარავებული გვკავს, რადგანაც ორს მასწავლებელში არც ერთმა არ იცის ქართული ენა. თუ დაიხურა იგი, შენი მტერია, 120 ბავშვი დარჩება უელგამოჭრილი და მოშორებული სწავლას.

ვინ—მე.

კიდევ აქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადანის შესახებ.

(წერილი ტყიბულიდამ).

„რაც არ გერგება,
არც შეგერგება“.
ქართული ანდაზა.

გაზეთ „ივერიის“ მკითხველებმა უწყიან, რომ ტყიბულში, აქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადანში ცხოვრობენ 35 კომლი დროებით ვალდებული გლეხები—ქასრაშვილები, რომლებთაც აქვთ ზემოხსენებულ მადანში 60 ქცევა ადგილი. (წინად თურმე მთელი მამულის—800 ქცევა იქნება ზომით,—მონახევრე ყოფილან ქასრაშვილები, მაგრამ უკულმართი დროთა ბრუნვის მეოხებით და ზოგიერთთა წყალობით 60 ქცევა ადგილის მეტი ჩამოურთმევიათ გლეხებისათვის, მაგრამ ამაზე ქვემოდ მოველაპარაკებით მკითხველებს). დიაღ, ქასრაშვილებს 60 ქცევა ადგილი აქვსთ ამ ჟამად ქვის ნახშირაში, რომელიც დიდად საჭიროა აქციონერებისათვის მათი მამულის გასაერთიანებლად. ზემოხსენებული 60 ქცევა ადგილის საფასოთ და სამაგიეროდ აქციონერთა საზოგადოებას პირობის ძალით გლეხებთან, შარშან-წინ უნდა ჩაებარებინა ქასრაშვილებისათვის ხუთი ათასი მანეთი ფული და 530 ქცევა „სავარდასანიძო“ ადგილი, მაგრამ, როგორც შარშანწინდელ „ივერიის“ 200 №-ში გვქონდა ნათქვამი, აქციონერებმა რაღაც ანგარიშის გამო პირობა ვერ შეუსრულეს გლეხებს, რის გამო გლეხებმაც პირობა დარღვეულად აღიარეს და ეხლა არც ესენი არიან თანახმა და უფრო მომეტებულ ფასად აფასებენ თავიანთ სარჩო-ადგილს. აქციონერებმა გლეხების საქციელი იუცხოვეს და შემოუთვალეს თავიანთი აგენტების პირით: „თქვენ ნამეტანს ჰბედავთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი დროებით ვალდებული ყმები ხართ და მაშასადამე, სადაც ჩვენ მიგიჩენთ სამაგიერო ადგილს და რასაც გიწყალობებთ იმისი კმაყოფილი უნდა იქმნეთო.—წარსულ შემოდგომას ამ საქმის შესახებ აქ კიდევ მოვიდნენ ქუთაისიდგან მომრიგებელ შუამავალი თავად მერაბ ლორთქიფანიძე და ს. ხოჯაევი, რომელსაც მინდობილი აქვს საზოგადოებისაგან გლეხებთან საქმის მორიგება. ამ პატივცემულ პირებმაც პოლიციის თანადასწრებით გამოუცხადეს ქასრაშვილებს აქციონერებისაგან შემოთვლილი სიტყვა და სთხოვეს მათ მორიგებულიყვნენ მებატონეებთან; ჩვენ ვეცდებით და აქციონერებს შვიდი ათას მანეთს მოვაცემინებთ და გირჩევნიათ დაუცალოთ ის 60 ქცევა ადგილი ქვის ნახშირაში, რომელიც თქვენთვის უსარგებლოა და გამოუსადეგარიო, (ნეტა რისთვის არის უსარგებლო და გამოუსადეგარი?) თორემ შემდეგ თქვენი საქმე კარგად არ წავალ, მებატონეს სრული უფლება აქვს კანონის ძალით თავისს ყმებს, რაც «უსტავნი ღრამატაში» ადგილი უწერია იმდენი ადგილი სხვა ალაგას მიუზომოს და გადაასახლოს ყმებიო». ამაზე ქასრაშვილებმა მიუგეს: „ეს მართალია ბატონებო, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენ ყმები ვართ სოლომონ შაბუროვის მემკვიდრეებისა და არც აქციონერების, რომლებმაც ეს მამული შეისყიდეს, არამედ ჩვენ მონაწილეები ვართ და ამის საბუთიც გვაქვს და ამიტომ ღვთით სრულიადაც არ გვეშინია ჩვენ იმათი მუქარის და ბაქიბუქისაო“.

ქასრაშვილებს, უეჭველად რაღაც მაგარი საბუთი აქვსთ, თორემ ამა რომელი ყმა შეჰკადრებდა და გაუწევდა თავის ბატონს ურჩობას?—რომ ქასრაშვილებს, მართლა საბუთი აქვსთ ჯ ისინი მონაწილენი არიან ქვის ნახშირის მადანში, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ, შარშანწინ გლეხებმა და აქციონერებმა პირობა შეჰკრეს ერთმანეთს შორის, რომლის ძალითაც აქციონერებს იმ 60 ქცევა ადგილში, რომელიც აქვთ ქასრაშვილებს ქვის ნახშირაში, უნდა მიეცათ ქასრაშვილებისათვის ხუთი ათასი მანეთი ფული და 530 ქცევა სავარდასანიძო ადგილი, მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვით აქციონერებმა რაღაც ანგარიშის გამო ეს პირობა ვერ შეუსრულეს გლეხებს.—ერთი ეხლა უნდა ვიკითხოთ, ნეტა რომელი გიჟი მებატონე შეეკვროდა ასეთი პირობით თავის ყმებს, რომ მართლა რამე საბუთი არ ჰქონოდათ გლეხებს მათი მამულის საკუთრებაზე.

ზემოდ ვსთქვით, რომ ქასრაშვილები, მთელი მამულის მონახევრეები ყოფილან მეთქი, ამის შესახებ აი რას ამბობენ თვით ქასრაშვილები: „ეს ადგილები ბატონო, რომელიც ეხლა აქციონერებს და ჩვენ გვიჭირავს, წინეთ ჩვენი და ჩვენი მამა-პაპების იყო და ჩვენ ვსარგებლობდით. მართალია ჩვენ ყმები ვიყავით თავად აკიაშვილების და აზნაურ კანდელაკების, მაგრამ, ჩვენს ბატონებს, ყველა ამ ადგილებიდან-კი არ ვაძლევდით ნადელს, არამედ რამოდენიმე ნაჭერი საყანე და საეზო ადგილებიდგან, ხოლო ის ადგილები, სადაც ეხლა მადანია, იქ უხსოვარი დროიდგან უტეხი ტყე იყო და ჩვენს საკუთრებას შეადგენდა.—მე 40 და 50 წლებში ჩვენმა ბატონებმა საჩივარი აგვიტეხეს დანარჩენ ადგილებზე, მაგრამ საქმე ჩვენ მოვიგეთ. მას შემდეგ ჩვენ ისე მოვრიგდით ჩვენს მებატონეებთან, რომ რაც ადგილები ჩვენ გვეჭირა ნახევარი ჩვენი უნდა ყოფილიყო და მეორე ნახევარი-კი ჩვენი მებატონეების, ასეთი პირობის ქალალდი დღესაც გვაქვს; მამულიდგან შემოსავალს ნახევარს იმათ ვაძლევდით და ნახევარს-კი ჩვენ ვიტოვებდით.—შემდეგ, როცა ჩვენს ბატონებს ფული დასჭირდათ, მამულის გაყიდვა მოინდომეს, მუშტარიც იქვე გაჩნდა სოლომონ შაბუროვი, რომელმაც რა ნახა აუარებელი სიმდიდრე იყო ჩაფლული ჩვენს მთებში, სული წაუვიდა სანამ იყიდდა ამ მამულს; ჩვენმა ბატონებმაც ასწიეს და ჩალის ფასად ჩაუგდეს ხელში თავიანთი ხვედრი მამული და უფლება ჩვენზე ბატონობისა ამ კაცს. მას შემდეგ ჩვენ თუმცა-და ქალალდზე ვითვლებოდით სოლომონ შაბუროვის ყმათ, მაგრამ ჩვენ იმისთვის არაოდეს არც ნადელი და არც არაფერი სასყიდელი არ მიგვიცია და არც შაბუროვს გამოურთმევია და უთხოვნია.—სოლომონ შაბუროვი ძაან გამოცდილი კაცი იყო, და ამიტომ იმან ისე მოაწყო თავისი საქმე, როგორც მას მოუხდებოდა. ჩვენ უსწავლელები და გამოუცდელები ვიყავით და ამით ბევრი დავკარგეთ, მაგრამ ეხლა მაინც მივხვდით და გავიგეთ, რომ თურმე საქმე, მდგომარეობა იმგვარად მოეწყო, რომ მთლად ჯამაგირს ვერავინ მიიღებთ. ზოგს ნახევარს მივსცემთ და ზოგსაც მესამედს. მართალია, დღესასწაულები მოახლოვდა და ყველას ფულები სჭირიან, მაგრამ მართებლობის წინაალმდეგ ხომ ვერ წახვალთ. ამ თვეში მეტს ვერ მივიღებთ.

— რატომ, რა მიზეზია—გაისმა საერთო დარბაზში.

— ხაზინიდამ არ იძლევიან მეტს. საგუბერნიო ქალაქში, რომ არ ვცხოვრობდეთ მაშინ კიდევ არა გვიშავს რა. როგორმე უნდა დავკმაყოფილდეთ—ნაზად წაილაპარაკა ივან მიხაილოვიჩმა და იწყო ფულების დარიგება.

ყველანი დადუმებულნი იყვნენ, ერთი წინააღმდეგი სიტყვა ვერავის ეთქვა. ყველანი დამორჩილდნენ სვეზელს. ჯერი ვასილ მორჩილაძეზედ მიდგა.

— ვასილ, მიიღეთ ხუთმეტი მანეთი—დაუძახა მდივანმა მორჩილაძეს. ვასილ მორჩილაძე ადგილიდამაც არ დაძრულა, არა უთქვამს რა.

— მიიღეთ,—გაიმეორა მდივანმა.

— არ მსურს, სიბრაზით წარმოსთქვა ვასილმა და ცხვირსახოცით გადიწმინდა შუბლზედ «სიმწრის» ოფლი.

ყველანი გაკვირვებული შესცქეროდნენ ფერ-მკრთალ ვასილს: რა იყო საკვირველი? ვასილის მსგავსი ვაჟ ბატონები ითმენენ სანამ შეიძლება და თუ მოთმინებიდამ გამოვიდნენ, აშინ-კი მათ სიბრაზეს საზღვარი არა აქვს; არ შეუძლიანთ დაჰფარონ რასაც ფიქრობენ, თუნდ ამით მთელი მომავალი ეღუპებოდეს. ამ დროს ასეთი ვაჟბატონები საშიშარი და თან საცოდავნიც არიან.

რავდენიმე წუთს საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ვერავის სიტყვის თქმაც ვერ გაებედა. მდივანი გაშეშებული იდგა. საერთო სიჩუმე ისევ ვასილმა დაარღვია.

— ხაზინიდამ არ იძლევიან.. ჰმ... ნუ თუ მართლა ისეთი უგუნურნი, სუსტნი, სულელნი ვართ, როგორც ბ. უფროსებს ჰგონიათ. არა, ბ. ივან მიხაილოვიჩ, ჩვენ დაჩუმებულნი ვართ სანამ...

— ვასილ, გააწყვეტინა მდივანმა, დაწყნარდით რა დაგემართათ.

— სიცრუე, სიყალბე, მოტყუილება შეზავებული ერთად ნექტარად გარდავაქციო, სასიამოვნოდ ჩავთვალო, დავჩუმდე?!..

— ვასილ, ჩვენი რა ბრალია?..

— ვიცი, ვიცი... უფროსების სურვილის დასაკმაყოფილებლად ჩვენ მსხვერპლად უნდა გავხდეთ არა!..ჰმ...

— უფროსები რა შუაშია? აქ მართებლობა, ხაზინა...

— ბატონო ივან მიხაილოვიჩ, კმარა, მართლა ჭრმა, სულელი ხომ არ ვართ... ეს ნახევარიც მიართვით ეგებ თავიანთ ოჯახს, ქალბატონებს გაუხაროს გული, ჩემი ცოდვაც თან ზიდონ და მე, ან სხვას ჩემებრ დაჩაგრულს, ღმერთი არ მოგვიძულებს... უკაცრავად, ესეც ბევრი ვილაპარაკე..

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს გაიღო უფროსის ოთახის კარები და მოისმა თავადის ხმა:

— მორჩილაძე, აქ მობრძანდი.

უფროსის ხმის გაგონებამ ყველას თავზარი დასცა. არავის არ ეგონა, თუ მაზრის უფროსი სამართველოში იყო. შეიძლება სხვა გვარი მსვლელობა მიეღო დაწყებულ ისტორიას, ან ვასილი სხვა რიგად მოქცეულიყო უფროსის სიახლოვე რომ სცოდნოდათ. ვასილმა გადაისვა შუბლზე ხელი, გაისწორა სეთრუკი და ნელის ფეხის ნაბიჯით შეავიდა უფროსის ოთახში. რაღაც არა ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. არავინ ადგილიდამ არ დაძრულა. თვით მდივანიც-კი გაფითრებული იდგა. ვინ იცის რას ფიქრობდა...

— მორჩილაძე, რა ამბავში ხართ! ნუ თუ თქვენ დაგრჩენიათ ამ სამართველოში ბურთი და მოედანი. გავიწყდებათ უფროსი, მორჩილება, პატივისცემა, ერთი სიტყვით რას შვრებიდ არ გესმისთ. როგორ იხსენიებდით ჩემს სახელს. ვისაც ოდნავ სინიდისი, პატიოსნება შერჩენია—განა მაგრე მოიქცევა. თქვენისთანა ვაჟბატონებს რაც მეტს პატივსა სცემ, რაც მეტს მოწყალების თვალით დაუწყებ ცქერას—უფრო უარესია. აი, ცოცხალი მაგალითი, სადამდის მიგიყვანათ თქვენ ჩვენმა პატივისცემამ...

მაზრის უფროსი ელაპარაკებოდა ვასილს ხმის ამაღლებით, თითქმის გაბრაზებული, მაგრამ პირ-და-პირ-კი ვერ გაებედა შეხედვა, თვალები ვერ გაესწორებინა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ მაზრის უფროსმა დაარღვია.

— რას დაჩუმდით, გრძნობთ განა დანაშაულს?..

— თქვენო ბრწყინვალებავ—ცახცახით მიუგო ვასილმა—რა დანაშაული მიმიძღვის. სიმართლის თქმა განა დანაშაულია!

— მაშ კიდევ იმ აზრისა ხარ?

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ. არ იფიქროთ ამის სიამაყე, ამპარტავნება მალაპარაკებდეს, ან არ მქონდეს უფროსის პატივისცემა, არა, თქვენო ბრწყინვალებავ, აქ სულ სხვა გრძნობა მოქმედებს. რა მეთქმის ამის მეტი—როს ცოლ-შვილს, ოჯახს, სტუმარს და დღესასწაულს ყველას თავთავის მოთხოვნილება აქვს, დაკმაყოფილება უნდა, მაგრამ...

— კმარა, დაჩუმდით...

— თქვენო ბრწყინვალებავ, მათქმევინეთ მაინც, რასაც...

— დაჩუმდით. მოთხოვნილება, დაკმაყოფილება... ისე ლაპარაკობ, თითქოს მე ვიყო დამნაშავე... საძაგელი.

— თქვენა ხართ დამნაშავე, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ...

— აჰ,.. გაეთრიე აქედამ, საზიზღარო.

— წავალ, თქვენო ბრწყინვალებავ, სამუდამოდ, მაგრამ არც თქვენ შეგრჩებათ ამდენი თავ...

— ხმა, კრინტი... გასწი, გაეთრიე...

— მივდივარ...

— გაეთრიე... შეჰყვირა საშინელის ხმით, გააღო კარები და ხელის წაკვრით გააგდო გარედ.

საცოდავი ვასილი გამოვიდა, მაგრამ სად იყო, რას შვრებოდა, თვითონაც არ გაეგებოდა. მონახა ძლივს ქუდი, პალტო და გაუდგა გზას. ყველანი შეშინებულნი იყვნენ. კარგად იცოდნენ რა შედეგი ექმნებოდა მაზრის უფროსის ასეთს გაბრაზებას.

— ივან მიხაილოვიჩ, დაუძახა უფროსმა მდივანს.

— თქვენო ბრწყინვალებავ, რას მიბრძანებთ, ამ სიტყვებით შეაბიჯა ფეხი თავადის კაბინეტში.

— მორჩილაძეს სიაზედ მოწერილი აქვს ხელი?

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ძალიან კარგი. ნახევარსაც ნუ მისცემ იმ საძაგელს.

— რა მოხდა, თქვენო ბრწყინვალებავ?

— არაფერი. სხვანი რას ამბობენ?

— არაფერს, თქვენო ბრწყინვალებავ.

— მგონი ძლიერ სასტიკად მოვექეცი, ეჰ, არაფერია, ნახვამდის. წაილაპარაკა თავადმა და გასწია სახლისკენ თავ-ჩაღუნულ დაფიქრებული.

IV

ყველა ემზადება სადღესასწაულოდ. ყველას სამხიაროლოდ ჰსურს მოაგვაროს თავიანთ ყოფა-მდგომარეობა. მოცოცხლდა მთელი ქალაქი. გაისმის ძახილი, ჟივილ-კივილი. მშვენიერი დღეებია. ვისაც-კი შეძლება აქვს ათასგვარ ნივთ-სანოვაგეს ყიდულობს, არჩევს. დიდი-პატარა ჯერეთვე გრძნობს მხიარულობას. მაზრის უფროსიც ეტყობა დიდ მზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს უფლება არა ჰქონია იყოლიოს გლეხები ყმათ; მაშასადამე შაბუროვსაც, როგორც გლეხს (შაბუროვის გლეხობა დღემდი არა სცოდნიათ ქასრაშვილებს) არა ჰქონია არავითარი უფლება ჩვენზე ბატონობისა და ჩვენი სანადელო მამულის ყიდვისაო“. ეს თუ ასეა, მაშინ არც ისეთ საზოგადოებას, როგორიც არის აქციონერთა საზოგადოება, არა ჰქონია კანონით უფლება დასახლებული მამული იყიდოს ან იქონიოს.—ქასრაშვილებს ამ საქმის შესახებ თხოვნაც მიუციათ ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორისათვის და თხოულობენ, რათა იგინი იქმნენ აქციონერების ქვის ნახშირის მადანში მონაწილეებათ ცნობილნი.

ვ. მასხულია,

უცხოეთი

იტალია. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ „სამთა კავშირის“ სახელმწიფოთა ხელმწიფენი ერთმანერთს ინახულებენ მალეო. იტალიის გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ თებერვალში გერმანიის, ავსტრიის და იტალიის მეფენი გენუას შეიკრიბებიანო.

ოსმალეთი. ერთს ტფილისელ სომხურ გაზეთს სწერენ კონსტანტინეპოლიდამ: ოფიციალურად დამტკიცდაო, რომ ბახრი-ფაშა ტყვედ წაუყვანიათ ზეითუნელებსაო.

ჩინეთი. წარსულ წლის ოქტომბერში დასავლეთ ჩინეთის პროვინციებში აჯანყდნენ დუნგანები—მაჰმადიანი ერი. აჯანყება თან-და-თან მატულობს. გაზეთების სიტყვით, აჯანყებულთა რიცხვი 100 ათას კაცამდეა ამ ჟამადო. ჩინეთის მთავრობამ მალე გაგზავნა ჯარი მათ წინააღმდეგ, მაგრამ ჯარების უმეტესობა აჯანყებულებს მიემხრო, რადგანაც ეს უმეტესობა ისევ დუნგანები ყოფილან. ხმა არის, რომ გენერალი ტინგი, დიდძალის ჯარით აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი, მეტად დამარცხდაო. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე პროვინცია. ჩინეთის მთავრობა მეტად გასაჭირს მდგომარეობაში ჩააგდო ამ აჯანყებამ.

ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ერთი ამერიკელი ფალავანია სახელად ევგენი სანდოუ. მეტის-მეტად განთქმულია თურმე ღონიერობითა და ჯანმრთელობით, ტანით უშველებელი რამ არის. ერთის ჟურნალის რედაქტორს უკითხავს სანდოუსათვის, როგორ ჰფარეზობ და როგორ ინახავ თავს, რომ ასეთი ჯანმრთელი და ღონიერი ხარო. სანდოუს უთქვამს, რომ ჩაისა და ყავას არ ვეკარები, ძილს კარგად ვეწყობი ასე, რომ დღე და ღამის განმავლობაში ცხრა საათი მძინავს და ხანაც მეტიო. ძილი, იმისის ფიქრით, აუცილებელი საჭიროებაა ჯანმრთელობისა და ღონისათვის და ამიტომ ჰგონია, რომ ძილში გატარებული დრო დაკარგული არ არისო. სანდოუ ადგება თუ არა დილით ქვეშაგებიდამ ცივ-წყალში ჰბანაობს, მას მერმედ აიღებს თურმე ხელში საწონს (გირი) და ხელში ათამაშებს, თვითონ თურმე ამ შემთხვევაში სულ ტიტველაა და მარტო ქალამნები აცვია ფეხზე. ყველა საგიმნასტიკო იარაღს საწონის ხმარება სჯობიაო, მარტო იმ პირობით-კი, რომ საწონი მძიმე არ იყოს. ხუთ-გირვანქიანი საწონი საკმაო არის და თუნდ კაცი სამსონის ღონისა იყოს, ამაზე მძიმე საწონი არ ვარგაო. ხუთ-გირვანქიანი იმიტომ არის კარგი, რომ ადვილად სახმარია მრავალ გვარ ვარჯიშობისათვისაო. საქმე ის არისო, რომ კაცმა ყველა ძარღვი ავარჯიშოს და გააძლიეროს და არა მარტო ერთიო. ვარჯიშობა უსათუოდ ერთხელ დანიშნულ დროს უნდა ყოველ ცის ამარა დღესა, დღითი-დღე. რიგის შეშლა აქ, ხან დილით ვარჯიშობა, ხან საღამოთი, ამისთანა საქმეში შეუწყნარებელიაო. ამასთან ხელშემწყობია სიარული, სეირნობა, თუმცა იმოდენად არა, როგორც ჰგონიათ, რადგანაც სიარული მარტო ზოგიერთს ძარღვებს ავარჯიშებსო, სხვა-და-სხვა გვარი თამაშობა, ცხენით და ველოსიპედით სიარული ხომ კარგია და კარგიო. ველოსიპედი, მისის ფიქრით, სულსა და ხორცს ამაგრებს, აძლიერებს და ადამიანს ხანგრძლიობას სიცოცხლისას ჰმატებსო.

ვინც ამ წეს-რიგით იცხოვრებს, იგი, სანდოუს სიტყვით, ას წელიწამდე იცოცხლებსო, და მე იმედი მაქვსო, რომ მე ამას ჩემის სიცოცხლით დაგიმტკიცებთო. (ვ. ი. ლ.)

— ახალი წამალი მოუგონიათ მილდიუსათვის და ნაცრისათვის და, როგორც ირწმუნებიან, უებარი და ძალიან იეფი. ამ წამალს ჰქვიან „ლიზოლი“. იგი სრულიად უწყინარია, როგორც ადამიანისათვის, ისეც მცენარესათვის და მით უფრო ძვირფასია, რომ ხეს, ხეხილსაც, რომელსაც ბევრი ჭია-ღუა მტერი ჰყავს და აფუჭებს ხოლმე, სულ მთლად აცლის ყოველს სნეულებას და მთლად ანთავისუფლებს წახდენისაგან. წყალში გახსნილი ლიზოლი (½%) სულ გაწმენდს თურმე ვაზს იმ სოკოსაგან, რომელსაც მილდიუს ეძახიან, ამ დღესვე აყრის ნაცარსაცა. მეცნიერი სიპიერი, რომელსაც უძიებია ვითარება ამ წამლისა, იმოწმება, რომ უეჭველია მისი უებარობა და ეს წამალი რომ შემოიღონ საფრანგეთის ვენახების-პატრონებმა, 50—60 მილლიონ ნაკლებ დაუჯდებათ ვენახების წამლობაო.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოწყალეო სელმწიფეკ
ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის მე-4 ნომერში დასტამბულია ანგარიში ექიმთა საზოგადოების სხდომისა, რომელზედაც განხილულ იქმნა საექიმო გაზეთის დაარსების საქმე. სხვათა შორის ანგარიშში მოთავსებულია ექიმის ელიაშვილის დაკითხვა და ჩემი პასუხი, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა რედაქცია და ვითომც ვერ ახსნა 24 ოქტომბრის სხდომაზე მომხდარი „ინციდენტი“.

თუმცა ჩემთვის სამძიმოა ხელახლად აღვძრა საგანი, რომელიც საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე, ჩემის აზრით, სრულიად გამოირკვა, მაინც რედაქციის შენიშვნა მაიძულებს ვსთქვა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რაც მე ვსთქვი იმ სხდომაზე, რომელიც საექიმო გაზეთის გამოცემის შესახებ იყო შემსდგარი. ექიმთა შორის, რომელთაც გამოსთქვეს ის აზრი, რომ გაზეთის გამოცემა ძნელიაო, ვიყავ მეც. მომყავს სიტყვა-სიტყვით ჩემი სიტყვები: (ექიმთა საზოგადოების სხდომის ოქმი, № 9) «ა. მამინოვმა შენიშნა, რომ გაზეთის გამოცემისათვის 3 ენაზედ უთუოდ გაძნელდება შოვნა ქართულის განყოფილების რედაქტორისა, რადგანაც ვეპვობ—საზოგადოების სხდომებში მონაწილეობის მიმღებ ჩემს ქართველ ამხანაგთა შორის იყვნენ ისეთნი, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ სამეცნიარო-პოპულიალურის გაზეთის გამოცემა“. ამ აზრის გამოთქმის დროს მე სახეში მყვანდა ორი თუ სამი მახლობელი ამხანაგი, რომელნიც ხშირად ესწრებიან საზოგადოების სხდომებს და მის საქმეებს ყურადღებას აქცევენ, ესენი, ვიცოდი, ზოგნი სრულიად არ იკისრებდნენ ამ საქმეს, რადგანაც ენა არ იციან კარგად (რაც, ჩემის აზრით, აუცილებლად საჭიროა გაზეთის რედაქტორისათვის), ხოლო სხვები უარს იტყოდნენ მისთვის, რომ თავისუფალი დრო არა აქვთ. აი ის, რაც მე ვსთქვი და რამაც ეს არაფრად სასიამოვნო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ძნელია იმისი თქმა, რომ ამ სიტყვებში რამ შეურაცხმყოფელი იყოს ქართველ-ექიმთა კორპორაციისათვის, ან იხატებოდეს რაღაც ბოროტება და დაცინვა იმ ამხანაგებისა, რომელთაც სამშობლო ენა არ იციან ვსთქვათ, თუნდაც ერთის წამით, ბაშია (მაზრის უფროსი ვასილის სახლის პირდაპირ იდგა), მიდი-მოდიან ეტლით ცოლ-ქმარნი. ამათ ყოველ დანახვაზედ ვასილს თავს ბრუ ესხმის, ბრაზი ერევა, მაგრამ ვერას ამბობს. ზის ფანჯარასთან და უცქერის გამვლელ-გამომვლელთ.

— ვასილ, წადი ბაზარში, იქნება რამე მოვახერხოთ ხვალისთვის—წყნარად ჩაილაპარაკა მორჩილაძის ცოლმა—ყველაფერს რომ თავი დავანებოთ სუფრა მაინც ლამაზად გავაწყოთ, ახალი წელია, ყველაფერი კარგი უნდა დაიბედო.

— ჰმ, დაიბედო ყველაფერი კარგი მხეცების ხელში არა...

— არაუშავს-რა, ღმერთი მოწყალეა, ვენაცვალე მისს სახელს. აი, ეს სამაჯური და საათი დავაგირავოთ. ცოტათი მაინც გავუმჯობესებთ მდგომარეობას.

— არ უნდა.

— მაშ რა ვქნათ?!

— არაფერი.

— ვასილ, ადე, შენი ჭირიმე. კარგი კმარა ამდენი ფიქრი და წუხილი. წაიღე ესენი, დააგირავე და ბარემ რასაც შევიძლებთ ვიყიდოთ და მხიარულად მივეგებოთ ახალს წელს...

— მხიარულად, როდესაც სიცოცხლეს, სულს, გულს გიწამლავენ, შხამით გივსებენ... ჰა, ხედავ? მკერვალის ბიჭს როგორი შეკონილი...

— კმარა, რაც უნდა ისა ჰქნან; ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს.

— კაბა, ვინ იცის ვისი ფულით ნაყიდია!!.

— გეყოფა მაგაზედ ფიქრი და ლაპარაკი, წადი ბარემ.

— კარგი, მოიტა...

ვასილმა გამოართვა ცოლს სამაჯური და საათი, ჩაიდო ჯიბეში, გადიწერა პირჯვარი, გადაკოცნა სამივ ბავშვები და წავიდა ბაზარში სანოვაგის ჭტკბილეულობის საყიდლად.

V

ახალ წლის პირველ დღეს, სამწუხაროდ, ვასილმა ვერ გადაიხადა დღეობა. ან როგორ იდღესასწაულებდა!.. სამაგიეროდ—თითქოს ჟინზედ ვასილის პირდაპირ, მაზრის უფროსის სახლში ამ დღეს წვეულება—საცეკვაო საღამო იყო გამართული. ისმოდა მუსიკის სხვა-და-სხვა მომხიბლველი ხმები, სიმღერა, კისკასი და საერთო მხიარულება. ხედავდა ვასილი—თუ როგორ სიამოვნებით გატაცებული ცეკვავდა მაზრის უფროსი ცოლითურთ, ხედავდა და ისეთაც დანაღვლებული გული ათას გვარ სევდით ევსებოდა. სეკრეტარიც გაბედნიერებულიყო, ისიც უფროსის სახლში ქეიფობდა. ხანდისხან ივან მიხაილოვიჩის ბელატ თავს მოჰკრავდა ხოლმე თვალს მორჩილაძე. ასეთი არა ჩვეულებრივი საერთო მხიარულება მეფობდა თავადის სახლში მაშინ, როდესაც იქვე, რამოდენიმე ფეხის ნაბიჯზედ, ვასილის ოჯახში სუფევდა სიჩუმე, სევდა და წუხილი.

იმდენად იმოქმედა ვასილზედ ამ უკანასკნელმა შემთხვევამ, რომ ორი დღე თითქმის დარეტიანებული დადიოდა, არ იცოდა რას შვრებოდა, სად იყო; ნერვებაშლილი, გულ-შეწუხებული, დაღონებული შესცქეროდა ძველ ფეხსაცმელით მორთულ შვილებს, შარშან საახალწლოდ შეკერილ კაბაში გახვეულს ცოლს, რომელიც სწუხდა სულით და გულით, სწუხდა,—ქმარს-კი უმალავდა თავის სულიერს მდგომარეობას. ისეთ ნაირად დასუსტდა საცოდავი ვასილი, რომ გენახათ იტყოდით სწორედ რავდენიმე დღე არაფერი უჭამია, ან ახალი ნაავადმყოფარი უნდა იყოსო. ურიის ვალი, ათას გვარი ოჯახის მოთხოვნილება, დღესასწაული, გაცრუებული იმედი, თითქმის ავაზაკური ქცევა, წაგლეჯა და კიდევ ლანძღვა—გაკიცხვა. აი, რაზედ ჰფიქრობდა ვასილი, რას გაეტაცნა მისი გული, გონება. ამ გვარ, სევდით მოცულ, დაჯაბნებული მორჩილაძე ისმენდა და უცქეროდა უფროსის ოჯახში მხიარულ-სიამოვნებას, ისმენ-უცქერდა და თან კეშანი უორკეცდებოდა. დაფიქრებულს ვასილს გასამხიარულებლად წყნარად და ნაზის ხმით მიმართა ვითომ უდარდო ცოლმა:

— ვასილ, მოდი, ვახშამი ვჭამოთ და მერმე კარგათ შეიქნები, ათასჯერ გითხარი და კიდევ გეტყვი ტყვილა ფიქრი და ჯავრი არაფერს არ გაგიკეთებს, წამო...

ვასილს ყურადღებაც არ მიუქცევია.

— წამო.

— ხა, ხა, ხა... შამპანურ ღვინოს სვამენ...

— წამო, სუფრა უკვე გაწყობილია.

— ჩვენი სუფრა იმ ვაჟბატონმა წაგვართვა, წაგვართვა ავაზაკურად. სად არის სუფრა, ეს არის სუფრა საახალწლო!!.

— თავი დაანებე, გეყოფა ამდენი...

— თავი დავანებო?.. რას დავანებო თავი... ლუკმას გართმევენ, გძარცვენ და მერე სად, ვინ.. ეს არაფერი, ამას როდი გაკმარებენ შენვე გლანძღავენ გათრევენ, უპატიოსნოს, უსინიდისოს გეძახიან. უსინიდისოს გეძახის თვით სინიდის დაკარგული. ჰმ, როგორ მოიქცა, როგორ მელიასავით მოგვეპყრო, გამოგვტაცა ხელიდამ ლუკმა. რას უზამ, რა უნდა უყო, როდესაც ყველას ხელი მოწერილი აქვს—ჯამაგირი სრულიად მივიღეთო... სამართალი დასჯის განა?!. არას დროს, კანონით ყოველთვის გაიმართლებს თავს მაგგვარი ვაჟ-ბატონები, არც სინიდისის ქენჯნა შეაწუხებს, რადგან სინიდისი მისთვის მეტი ბარგი-ბარხანაა. ან რად შესწუხდეს, როს ამგვარ სისაძაგლით აღჭურვილს ადამიანს საზოგადოებაში პატივისცემა და სახელი აქვს. საჭიროა ჩუმად ოსტატურად გაძარცვო, გაგლიჯო შენზედ უფრო სუსტი, ისე რომ კანონმა ვერ დაგსაჯოს; მაშინ ვინ რას იტყვის, ვინ რის თქმას გაბედავს. ამგვარ შემთხვევაში განა ლოგამი ძნელი საპოვნელია. ძალა აქვთ და ხმარობენ კიდეც:

მეუბნები—დაწყნარდი, თავი დაანებე მაგაზედ ფიქრსო. განა მე არა მსურს, განა თავი მოძულებული მაქვს! როგორ დავანებო თავი, როს შენი გამძარცველი, რომლის წყალობით თითქმის შიმშილ-წყურვილს იტან, შენ თვალის წინ უსაზღვრო მხიარულებას, სიამოვნებას ეტანება. როს შენ აქ მისს ქცევას არჩევ, მსჯავრს სდებ—იქ საზოგადოება აქებს, ადიდებს და თავს ევლება. ამ სურათის მნახველი დავდუმდე, დავწყნარდე!!. ეჰ, გულო, რათ არ გასკდები, არ გამოანთხევ დაგუბულ სევდა-ტანჯვას, რომ ყველა მიხვდეს, რად იტანჯვის ულონო დაჯაბნებული არსება. სანამ უნდა იფარფაშონ ამ გვარ მძლავრ ვაჟ-ბატონებმა, სანამ უნდა ძარცვონ, და თელონ ფეხით, ლანძღონ, გაკიცხონ საბრალო მუშაკნი, ერთგულნი მსახურნი?!! სანამ...

ამ სიტყვებზედ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა საცოდავი, რომ წინადადებაც ვერ დაათავა, სიბრაზით გამალებულმა ჭკრა ხელი ფანჯარას და გაამტვრია შუშა.

— რას შვრები, გონზედ მოდი—შეჰყვირა აცახცახებულმა ცოლმა ვასილს, მაგრამ ვასილს ამ დროს არა ესმოდა რა.

მხოლოდ მაშინ მოვიდა გრძნობაზედ, როდესაც ცოლმა დაუწყო სისხლიან ხელის მობანვა და შეხვევა.

— არა უშავს-რა... დაანებე თავი... სიმწრით წაილაპარაკა ვასილმა. წავიდეთ ვახშამი ვჭამოთ. მეტი შეხვევა არ უნდა.

ცოლ-ქმარნი წავიდნენ ვახშმის საჭმელად. განა შეეძლოთ ეხლა ვახშმის ჭამა?!

— დაჩუმდი, თქვენი ჭირიმე, დაჩუმდით, თქვენ გენაცვალე, ამშვიდებდნენ ორთავენი მტირალ ბავშვებს, მაგრამ შეშინებულ ბავშვების დაწყნარება არ იქნა.

ამ დროს გაისმა მშვენიერი, სულგულის წარმტაცი მუსიკა მაზრის უფროსის სახლში. იქიდგან ისმის მუსიკა, იქ ყველას ამხიარულებს ეს მომხიბვლელი ხმა, აქ, ვასილის ოჯახში, ორთავეს საწამლავად ხვდებათ გულს და ნალვლიანის ხმით ამშვიდებენ ატირებულ-შეშინებულ ბავშვებს.

მალ. ბოლქვაძე.

კიევი, 27 დეკემ. 95 წ.

რომმე მართლა ასეთი აზრი გამოვსთქვი. მერე ვისთვის უნდა მიმეყენებინა შეურაცხყოფა? რასაკვირველია ჩემის ამხანაგებისათვის, ტარსაიძისა, გედევანოვისა, ქიქოძისა, მაღალოვისა, ვაწაძისა, ჩიქოვანისათვისა და სხ., რომელთაგანაც ზოგნი ჩემნი მახლობელნი ამხანაგები არიან სკოლიდამვე, ან გულწრფელად პატივს ვსცემ, როგორც ექიმებს.

საქმე-კი რა დაგვანახვა? იწყინეს იმათ-კი არა, რომელნიც მე სახეში მყავდნენ და რომელთაც ჩემი შენიშვნა შეეხება, არამედ ექიმმა ელიაშვილმა, რომელსაც არა მაქვს პატივი ვიცნობდე და არც ვიცოდი, რამდენად კარგი მცოდნეა იგი ქართულის ენისა.

ამ რიგად იწყინა იმან, ვისაც უფრო ნაკლებად შეეხებოდა ჩემი სიტყვები. არ შეიძლებოდა სახეში მყოლოდა ექიმი ელიაშვილი კიდევ იმიტომ, რომ მე ვლაპარაკობდი იმ ჩემ მეგობართა შესახებ, რომელნიც საზოგადოების სხდომებს ესწრებოდნენ და ელიაშვილი-კი, ამ ორის წლის განმავლობაში, რაც იგი საზოგადოების წევრად ითვლება, სულ 5 თუ 6-ჯერ დაესწრო ჩვენს სხდომებს; მაშასადამე, მე არც შემეძლო ჩამეთვალა იგი საზოგადოების ისეთ წევრად, რომელიც მუდამ ყურადღებას აქცევს მის საქმეებს.

არ მქონდა-რა არავითარი სურვილი ვისთვისმე შეურაცხყოფა მიმეყენებინა ამ ჩემის შენიშვნით და ვერ წარმოვიდგენდი-რა იმას, რომ ვისმე ჩემ მეგობართაგან, რომელნიც-კი მიცნობენ, ასეთი ეპეი დაჰბადებოდა, მე მართლა ავღელდი-კი არა მარტო, შეურაცხყოფილადაც ვსცანი ჩემი თავი ბ-ნის ელიაშვილის მიერ საზოგადოებაში წარმოთქმულის უხეირხულის კითხვით; როგორც სჩანდა, ბ-ნს ელიაშვილს ჰსურდა აღეძრა ინციდენტი, რომელიც, ვგონებ, არავისთვის არ უნდა ყოფილიყო სასურველი.

მსურს ვერწმუნო, ბ-ნს ელიაშვილს არავითარი ცუდი განზრახვა არ ჰქონოდეს, როდესაც ის ასეთს კითხვას იძლეოდა და ამით ამხანაგთა შორის დამოკიდებულებას ამწვავებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტები სრულიად სხვას ამბობენ.

ამ წერილით საგანს სრულიად გამორკვეულადა ვსთვლი და ვაცხადებ, რომ ამ საქმის შესახებ დაბეჭდილს შენიშვნებზედ პასუხს აღარ მივსცემ.

ექიმი ა. მამინოვი.

11 იანვარი, 96 წ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გუძღვნა იმ შირთ, რომელთაც ჰდმოუჩინეს დახმარება წიგნებით საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საცავს. 1) ბ-ნ ი. როსტომაშვილს, რომელმაც შემოსწირა წიგნთ-საცავს თავისი გამოცემანი 1885 წლისა; 2) ბ-ნ ნ. ჯალაშვილს, რომელმაც შემოსწირა თავისი ნათარგმნი „ლუკმა-შურის ამბავი“ ორი წიგნი; 3) ბ-ნ თ. სახოკიას, რომელმაც შემოსწირა თავისი ნათარგმნი „განთიადი“—მოთხრობა ეკისა; 4) ბ-ნ დ. როსტომაშვილს, რომელმაც შემოსწირა ცხრამეტი სხვა-და სხვა საუმაწვილო და სასალხო წიგნები; 5) ქ-ნთ ბიდასნიშვილებისას, რომელთაც შემოსწირეს ორი რუსული წიგნი: ფლამარიონისა „ურნია„, და რომანი პუტროვისა „Бѣлые и черные; ერთიც ქართული წიგნი გოგებაშვილისა „თავდადებულნი ქართველნი“.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ, როგორც წარსულ 1895 წელს, ისე წელსაც უსასყიდლოდ დაუთმო თავისი გაზეთი საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საცავს. როგორც სამეურნეო გაზეთი, დიდს საჭიროებას შეადგენს სოფელში მცხოვრებთათვის, რისთვისაც დიდს მადლობას გუძღვნით აღნიშნულ საზოგადოებას. ამის გარდა აღნიშნულ საზოგადოებას უკვლა თავის გამოცემებს გვითმობს უსასყიდლოდ. ამ გვარად შეუმჩნეველად მატულობს სამეურნეო წიგნები წიგნთ-საცავში.

საგარეჯოს წიგნთ-საცავის გამგე ალექსანდრე ბენაშვილი.

საქართველოს თავადნი.

თავადნი ჯორჯაძენი. თავად ჯორჯაძეთა გვარეულობა კახეთის თავადთა სიაშია მოხსენებული, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წ. შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სოციალურ სიაში აღნიშნული არიან თავადნი ჯორჯაძენი; 1) შტაბს-კაპიტანი დავითი (ტოლი მისი მართა) და სერგი ივანეს ძენი; 2) პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე, ტოლი მისი მარიამ, ასულნი ამათნი ტასია და ელისაბედი; 3) ეოლეჟსკი სეკრეტარი დიმიტრი დავითის ძე; 4) ზაქარია ნოშრევანის ძე, ტოლი მისი ბარბარე და შვილი მათი ნოშრევან; 5) ქერიკი ნოშრევანისა—სოფიო და შვილნი მათნი: მიხეილი, სოლომონი და ანნა; 6) პორუჩიკი თამაზ თამაზის ძე, ტოლი მისი თამარი და შვილი მათი ივანე და 7) ქერიკი გიორგი თამაზის ძისა—ანასტასია და ასული ამათი ელენე.

უმართებლესის სენატის დადგენილებით 7 იანვარს 1870 წ. ამგვარს შემოუერთდა ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი.

პეტერბურგი. დღეს გაიხსნა გამოფენა მხატვარის ვ. ვ. ვერეშჩაგინის სურათებისა.

ქადრაკის თამაშობაში 10 იანვარს სტეინიცმა პილსბერის მოუკო.

ჰელსინგფორსი. მათის უდიდებულესობის წმ. გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დანიშნულ არიან: ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი, მინისტრი სტატს-სეკრეტარი ფინლიანდიისა, მისი ამხანაგი, სენატორნი პალმენი ტ ტუდერი, რექტორი ჰელსინგფორსის უნივერსიტეტისა, ოთხი წოდებათა წარმომადგენელი და გენერალი რამზაი.

ვლადივოსტოკი. პეკინიდამ იუწყებიან, რომ მთავრობამ დიდი თანხა გადასდო ფლოტის დასაარსებლადაო. ხომალდების აშენების პროგრამა ვრცელია. შეუკვეთეს აშენება ჯავშნიანის გემებისა, კრეისერებისა და ნალმიან გემებისა.

პარისი. „ფიგარო“ იუწყება, რომ იმპერატორი ვილჰელმი საშრეთ საფრანგეთში აპირებს მოსვლასაო.

რომი. აბისინიის პრინცი გუაზა ადახაგამუსს მივიდა; პრინცს გენერალი ბარატიერი მიეგება დიდის პატივით. პრინცს სადგომად იტალიის პირველ სადგომთან მიუჩემეს კარავი.

მილანი. გენერალმა ბარატიერმა მიანდო გალიალოს თავისით დასცალოს მაკალლე.

ლონდონი. ბრაზილიის მთავრობა თხოულობს დაუყოვნებლივ იქმნან განწმენდილნი ტრინიდადის კუნძულები ინგლისის ჯარებისაგან.

12 იანვარი.

პეტერბურგი. 11 იანვარს საზამთრო სასახლეში მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა თანადასწრებით გაიმართა დიდი ბალი, რომელზედაც მიწვეული იყო 3500 კაცი.

პარისი. საფრანგეთის მთავარ რეზიდენტმა მადაგასკარზე ხელი მოაწერია მადაკასკარის დედოფალს ახალს ხელშეკრულობაზე, რომლით მადაგასკარის კუნძული აღიარებულია საფრანგეთის სამფლობელოდ. მადაგასკარის დედოფლისა და ადგილობრივ ადმინისტრაციის უფლებანი დაცულ იქნებიან.

ვენა. სერბიის პარლამენტს წარედგინა კანონ-პროექტი, რომლით განზრახულია გარდასახადი დაედვას მათ, ვინც ცოლს არ ირთავს.

ლონდონი. პრინცის ბატენბერგის გარდაცვალებამ უზომოდ შეაწუხა დედოფალი ვიქტორია და გარდაცვალებულის მეუღლე პრინცესა ბეატრისა.

დურბაკიდან იტყობინებიან, რომ ჯემსონი ამხანაგებითურთ გიგზავნენ ინგლ სს გემზე „ვიქტორია“.

ამბობენ, ტრანსვაალს მოუთხოვნია ინგლისისაგან $1^1/_2$ მილიონი გირვანქა სტერლინგი იმ ზარალის შესავსებად, რომელიც მოუვიდა ტრანსვაალს ინგლიელთა შემოსევის გამო.

ბირჟაზე ხმა გავრცელდა, რომ აშანთიების ქვეყანაში უფრო მდიდარი ოქროს მადნები ამოჩენილა, ვიდრე ტრანსვაალშია.

ნამდვილ წყაროების ცნობით, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი ხმაურობენ, რომ გერმანიის მოქმედება აიძულებს ინგლისს სხვა მიმართულება მისცეს გარეშე პოლიტიკას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისმა დაუთმო საფრანგეთს, აგრეთვე ის ზომიერებაც, რომელიც გამოიჩინა ინგლისმა ამერიკის შესახებ და ის ცხადი სურვილიც, რომ ინგლისს განზრახვა აქვს შეთანხმდეს რუსეთთან.

განცხადებანი

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ძართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამბის საჩრდილობელი (აბაჟური) **ძართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დროშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲘ

ავლაბრის მოედანი, სახლი ჩერქეზიშვილისა, № 3.

22 დეკემბრიდამ ამა წლისა გაიხსნება კაბინეტი კბილის ექიმის

Ო. ს. ᲘᲔᲜᲩᲛᲔᲜᲘᲡᲐ.

(3—3016—3).

1896

„ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მესამე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავე პროგრამით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარეშე	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მადაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდამ კომისიისა და ფულის გამოგზავნისათვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველ აგვისტოში ოთხი მანეთი შესატანი ეთიც მარტში და -რომ-დნოო რიმაში.

ОТКРЫТА ПОДПИСКА На 1896 ГОДЪ

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“,

органъ императорскаго кавказскаго общества сельскаго хозяйства.

Газета выходитъ по четвергамъ, **безъ предварительной цензуры,**

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ

1. Руководящія статьи по техничекимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіахъ. 5. Обзоры литературы русской и иностранной по вопросамъ, относящися къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Провительственныя распоряженія. 8. Протоколы, даклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюленія 16 Обьявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключаетя въ уставноленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или въ общество сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—**4** руб., полгода—**2** руб., $^1/_4$ года—**1** руб. и 1 мѣсяцъ—**40** коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ въ бюро Импер. Кавк. Общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

Отвѣственный редакторъ **А. А. Калантаръ.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს შეუცვლელად ექიმის ბ. მამინოვის თხოვნისამებრ, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ არც ახლა ვსთვლით საგანს გამორკვეულად. საქმე ის-კი არ არის, ვინ ჰყავდა სახეში ბ. მამინოვს, როდესაც თავისი აზრი წარმოთქვა, არამედ შემდეგი: ბ. მამინოვის იჭვიანობა და შიში—გაზეთის რედაქტორებს ვერ ვიშოვითო—რატომ მარტო ქართულს განყოფილებას უნდა შეეხებოდა და არა სომხურსაც მაგალითად?

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.